

შპს „საბა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერი

შპს „საბა“
სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს "საბა" - ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31.დეკ.24	31.დეკ.23
აქტივები			
არამატერიალური აქტივები	9	7 603	9 677
მიწა	10	3 347 016	3 450 816
ძირითადი საშუალებები	8	1 482 831	1 630 269
სულ გრძელვადიანი აქტივები		4 837 450	5 090 762
ფული და ფულის ექვივალენტები	5	405 689	993 721
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	597 042	373 730
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	441 044	692 649
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		395 903	242 050
საგადასახადო აქტივები	11	3 108	2 511
სხვა მოკლევადიანი აქტივები		5 076	3 300
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-
სულ მიმდინარე აქტივები		1 847 862	2 307 961
სულ აქტივები		6 685 312	7 398 723
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	132 501	95 560
მიღებული ავანსები		471	1 600
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		-	-
სულ ვალდებულებები		132 972	97 160
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		6 552 340	7 301 563
გადაფასების რეზერვი		-	-
სულ კაპიტალი		6 552 340	7 301 563
სულ კაპიტალი და ვალდებულება		6 685 312	7 398 723

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

21 ნოემბერი, 2025

თბილისი, საქართველო



შენიშვნები გვერდებზე 6-21 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „საბა“-ჯგუფი
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


	შენიშვნები	2024	2023
შემოსავალი	13	5,204,045	9,464,323
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	14	(1,969,703)	(3,127,333)
საერთო მოგება		3,234,342	6,336,990
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(2,410,334)	(3,188,751)
ფინანსური ხარჯი		-	(1,264)
არასაოპერაციო შემოსავალი	16	-	105,941
არასაოპერაციო ხარჯი	17	(123,284)	(135,739)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		700,724	3,117,177
მოგების გადასახადი		(215,250)	(598,245)
წმინდა მოგება		485,474	2,518,932
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	18	(14,947)	(117,520)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		470,527	2,401,412

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	470 527	2 401 412

ხელმოწერი პირები:

დირექტორი



21 ნოემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 6-21 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „საბა“-ჯგუფი
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება / ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	-	8 290 204	-	8 290 204
კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
დივიდენდები	-	(3 390 053)	-	(3 390 053)
პერიოდის მოგება- ზარალი	-	2 401 412	-	2 401 412
კორექტირება	-	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	-	7 301 563	-	7 301 563
კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
დივიდენდები	-	(1 219 750)	-	(1 219 750)
პერიოდის მოგება- ზარალი	-	470 527	-	470 527
კორექტირება	-	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	-	6 552 340	-	6 552 340

ხელმოწერი პირები:

დირექტორი



21 ნოემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 6-21 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „საბა“ - ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „საბა“ (შემდგომში „კომპანია“) ს/კ 202157593 დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2000 წლის 25 იანვარს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის კომპანიის დირექტორი იყო ბესარიონ ქვარცხავა (პ/ნ: 01007001222), ხოლო წილის მფლობელები არიან:

სახელი	წილი %
ბესარიონ ქვარცხავა (პ/ნ: 01007001222)	80
დავით სულაბერიძე (პ/ნ: 01023009761)	20
	100

შპს „საბა“ -ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფარმაცევტული პროდუქტის ყიდვა გაყიდვას. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში. კომპანიას არ გააჩნია ფილიალები.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

- შპს „ენერჯისტოუნ“ ს/კ: 402294744, დაფუძნებული 2023 წლის 20 ნოემბერს, რომელშიც კომპანია ფლობს 100%-იან წილს;

შპს „ენერჯისტოუნ“ საქმიანობას წარმოადგენს ელექტროენერგიის წარმოება ჰიდროელექტროსადგურების მიერ

დედა კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართი: დიდუბის რაიონი ლუბლიანას ქ. 13ბ
შვილობილი კომპანიის იურიდიული მისამართი: დიდუბის რაიონი ლუბლიანას ქ. 13ბ

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 2024	31 დეკ 2023
1 დალარი/ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753

2. მომზადების საფუძვლები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

შპს “საბა” - ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგა შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძველად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცემა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, ჯგუფს შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვებია ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

შპს “საბა” - ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანაშრომლის ჩათვლით), მრჩევის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები

გასაყიდად გასაყიდი ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განისაზღვრულია როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი ან არ კლასიფიცირდება როგორც სესხები და მისაღები მოთხოვნები, ვადის გასვლამდე ინვესტიციები ან ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით მოგებისა და ზარალის საშუალებით.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

ჯგუფის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივადი ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

ჯგუფის მთლიანი ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

შპს “საბა” - ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა ჯგუფი აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) ჯგუფმა გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებულ იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

შპს “საბა” - ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

	სასარგებლო ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	5-10
კომპიუტერული ტექნიკა	5-10
ოფისის აღჭურვილობა	10-20
სხვა ძირითადი საშუალებები	10-20
	სასარგებლო ვადა (წელი)

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც ჯგუფი მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის წრფივი მეთოდის გადახედვა. არამატერიალური აქტივებისთვის განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადით, ტარდება გაუფასურების ტესტი წლიურად. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როცა იწყება აქტივის გამოყენება.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია

ცვთა აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით აქტივის თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში გაუფასურების გარდა, იმ დღიდან, როდესაც ისინი ხელმისაწვდომი იქნება გამოსაყენებლად.

მიმდინარე და შედარებითი პერიოდების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

პროგრამული უზრუნველყოფა	5 წელი
სავაჭრო ნიშნები და რეკლამის დიზაინები	5 წელი
ლიცენზიები და დათმობები	25 წელი
სხვა არამატერიალური აქტივები	6-10 წელი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ ჯგუფი დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად ჯგუფის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს ჯგუფის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;

შპს “საბა” - ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ ჯგუფი ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება ფიფო მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველი ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულებისა და გაყიდვის დანახარჯებით. გაუფასურების ზარალი პირდაპირ აღიარდება მოგება-ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

ორგანიზაციის საპაიო კაპიტალი ფორმირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად და მასში მომხდარი წილისმიერი ცვლილება დოკუმენტურად შეესაბამება მთავარი წიგნის შესაბამისად ანგარიშებზე ასახულ ცვლილებებს.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

შემოსავლის აღიარება

საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი და მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდა საქონლის საკუთრების უფლების გადაცემა და გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღ-სა და ფასდათმობის გარეშე.

საქონლის რეალიზაცია

საქონლის გაყიდვა აღიარებულია მიწოდებისთანავე, როდესაც საქონლის საკუთრების მნიშვნელოვანი რისკები გადადის მყიდველზე.

იჯარა

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადები წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშგებაში.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (დღეს მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხება იმის მიუხედავად, იგი ჯგუფში რჩება თუ დივიდენდების სახით გაიშვება).

კონსოლიდაციის საფუძველი.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ითვალისწინებს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების მიერ კონტროლირებადი კომპანიისა და ორგანიზაციების (მათ შორის, სტრუქტურული ერთეულების) ფინანსური ანგარიშგებას. კონტროლი მიღწეულია, როდესაც კომპანიას:

- აქვს ძალაუფლება მეორე კომპანიაზე;
- აქვს უფლება ცვალებად შემოსავლებზე მისი ჩართულობიდან გამომდინარე მეორე კომპანიაში; და
- აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს ძალა, რომ გავლენა მოახდინოს შემოსავლებზე

კომპანია მუდმივად აფასებს, რამდენად აკონტროლებს მეორე კომპანიას და თუ ახალი გარემოებები მიუთითებს რომ შეიცვალა ერთ ან რამდენიმე კონტროლის გამომწვევი ელემენტი, რომლებიც ნახსენებია ზემოთ.

როდესაც კომპანია არ ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობას ინვესტიციის ობიექტში, მას აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე იმ შემთხვევაში, როდესაც, ხმის უფლება საკმარისია იმისთვის, რომ მისცეს მას პრაქტიკული შესაძლებლობა, განკარგოს ინვესტიციის ობიექტის ცალკეული საქმიანობა ცალმხრივად. კომპანია განიხილავს ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებებს, იმისათვის რომ შეაფასოს არის თუ არა მისი ხმის უფლება საკმარისი იმისათვის, რომ მისცეს მას შესაბამისი უფლებამოსილება, მათ შორის:

- ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელი კომპანიის ზომა, სხვა აქციონერების ზომასთან შედარებით; კომპანიის, სხვა ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელი კომპანიების ან სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლება;

- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან წარმოქმნილი უფლებები; და

• რაიმე დამატებითი ფაქტები და გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ კომპანიას აქვს ან არ აქვს შესაბამისი პროცესების წარმართვის უნარი გადაწყვეტილებების მიღებისას, მათ შორის წინა აქციონერთა კრებებზე.

შპს “საბა” – ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და წყდება, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან განთავისუფლებული დამფინანსებლის შემოსავლები და ხარჯები შეტანილია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ მოიპოვა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე და წყდება იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ დაკარგა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს. კომპანიის შვილობილი კომპანიების შემოსავალი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს აქვთ საბალანსო დეფიციტი.

საჭიროების შემთხვევაში, კორექტირებები შედის შვილობილთა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, რათა თავიანთი საბუღალტრო პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკასთან.

ყველა ჯგუფის შიდა აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულის ნაკადის მოძრაობები ჯგუფის წევრ კომპანიებს შორის მთლიანად ელიმინირდება კონსოლიდაციისას.

გადავადებული გადასახადები

გადასახადები გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების გამოყენებისთვის. მენეჯმენტის მსჯელობა საჭიროა, რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივის ღირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს, მომავალ დასაბეგრ მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით. ფინანსურ ანგარიშგებებში მოგებიდან გადასახადი ასახულია არსებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ზანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით. მოგების გადასახადის განაკვეთია 15% მთლიან თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაძლების სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

ჯგუფის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

შემოსავლისა და ხარჯების აღიარება

შპს "საბა" - ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

პროცენტის შემოსავალი და ხარჯი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. სხვა გადასახადები, საკომისიოები და სხვა შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, შესაბამისი მომსახურების გაწევისას. საოპერაციო იჯარით გადახდილი გადახდები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

გადასახადები

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების გამოყენებისთვის. მენეჯმენტის მსჯელობა საჭიროა, რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივის ღირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს, მომავალ დასაბეგრ მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტების გამოყენება

ჯგუფმა დანერგა ყველა ის ახალი ან შესწორებული სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გაცემულია საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ და რომელიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშო პერიოდისთვის. ჯგუფს ჯერ არ შეუფასებია ამ ახალი ან შეცვლილი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების გავლენა. ახალი და შესწორებული აღრიცხვის სტანდარტები, რომელთა მიღება არ არის სავალდებულო არ იქნება დანერგილი ჯგუფის მიერ.

შემდეგი ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და გამოყენებული იქნა ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

1. ცვლილებები IAS 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე

- ძალაში შესვლის თარიღი: 2024 წლის 1 იანვარი
- დასკვნა: ეს ცვლილებები განმარტავს ვალდებულებების მიმდინარე ან არამიმდინარე კლასიფიკაციის კრიტერიუმებს, ფოკუსირებით ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე.

2. ცვლილებები IFRS 16-ში: იჯარის ვალდებულება გაყიდვისა და უკულიზინგის შემთხვევაში

- ძალაში შესვლის თარიღი: 2024 წლის 1 იანვარი
- დასკვნა: ცვლილებები განსაზღვრავს იჯარის ვალდებულების შეფასებას და ნებისმიერი მოგების ან ზარალის აღიარებას გაყიდვისა და უკულიზინგის ტრანზაქციაში

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა შემდეგი ახალი სტანდარტები და შესწორებები გამოიცა ბასსს-ის მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული წლიური პერიოდისთვის, რომელიც მთავრდება 2024 წლის 31 დეკემბერს. ჯგუფს ადრე არ მიუღია ეს სტანდარტები და ამჟამად აფასებს მათ პოტენციურ გავლენას მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

1. IFRS 18: პრეზენტაცია და გამჟღავნება ფინანსურ ანგარიშგებაში

- ძალაში შესვლის თარიღი: 2027 წლის 1 იანვარი
- დასკვნა: ფასს 18 შემოაქვს ახალ კატეგორიებსა და ქვეჯამებს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და მოითხოვს მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული შესრულების საზომების გამჟღავნებას.

2. ცვლილებები ბასს 21-ში: შეუცვლელობის ნაკლებობა

- ძალაში შესვლის თარიღი: 2025 წლის 1 იანვარი
- დასკვნა: ეს ცვლილებები აკონკრეტებს, თუ როგორ უნდა შეაფასოს ერთეულმა ვალუტის გაცვლიდობა და ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნები, თუ ეს ასე არ არის.

3. ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში: კონტრაქტები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებული ელემენტოვნერგობას

- ძალაში შესვლის თარიღი: 2026 წლის 1 იანვარი
- დასკვნა: ცვლილებები განმარტავს „საკუთარი გამოყენების“ მოთხოვნების გამოყენებას და ნებას რთავს ჰეჯირების აღრიცხვას გარკვეული კონტრაქტებისთვის.

ჯგუფი მოელის, რომ ამ ახალი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება, რომელიც ძალაში იქნება შემდეგი საანგარიშგებო პერიოდიდან, არ ექნება არსებით გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე ან ფულადი სახსრების ნაკადებზე.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	12/31/2024	12/31/2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1 176	1 941
ეროვნული ვალუტა რეზიდენ ბანკში	404 080	991 780
ფული სხვა საბანკო ანგარიშზე	433	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	405 689	993 721

საბანკო ანგარიშებზე არსებული ნაშთები შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც რისკისგან თავისუფალი, იმის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც ჯგუფს აქვს მიმდინარე ანგარიშები, საიმედო და ცნობილი ქართული საკრედიტო ინსტიტუტებია.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები არ არის გაუფასურებული ან გადაგადაცილებული.

შპს "საბა" - ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო მოთხოვნები	596 963	373 730
სხვა მოთხოვნები	79	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	597 042	373 730

7. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები	12/31/2024	12/31/2023
საქონელი	436 751	688 583
საწვავი	4 293	4 066
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	441 044	692 649

8. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სატრანსპორტო საშუალებები	ავჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ბალანსი						
31.12.2023	3,450,816	554,841	9,736	1,307,323	142,669	5,465,385
შეძენა				-	8,475	8,475
გასვლა	(103,800)	-	-	-	-	(103,800)
ბალანსი						
31.12.2024	3,347,016	554,841	9,736	1,307,323	151,144	5,370,060
აკუმ. ცვეთა						
ბალანსი	-	(49,678)	-	(258,692)	(75,930)	(384,300)
ცვეთა		(7,097)		(137,783)	(11,033)	(155,913)
გასვლა		-	-	-	-	-
ბალანსი						
31.12.2024	-	(56,775)	-	(396,475)	(86,963)	(540,213)
ნაჩენი ღირებულება						
ბალანსი	2,937,539	512,260	9,736	1,027,343	69,775	4,556,653
ბალანსი	3,450,816	505,163	9,736	1,048,631	66,739	5,081,085
ბალანსი	3,337,516	498,066	9,736	910,848	64,181	4,820,347

შპს "საბა" - ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

9. არამატერიალური აქტივები

ბალანსი 31.12.2023	13,824	13,824
შეძენა	-	-
გასვლა	-	-
ბალანსი 31.12.2024	13,824	13,824
აკუმულირებული ცვეთა	-	-
ბალანსი 31.12.2023	4,147	4,147
ცვეთა	2,074	2,074
გასვლა	-	-
ბალანსი 31.12.2024	6,221	6,221
ნარჩენი ღირებულება		
ბალანსი 31.12.2022	11,750	11,750
ბალანსი 31.12.2023	9,677	9,677
ბალანსი 31.12.2024	7,603	7,603

10. საგადასახადო აქტივები

საგადასახადო აქტივები	2024	2023
ბიუჯეტთან ანგარიშსწორების ერთიანი ანგარიში	3 108	2 511
სულ	3 108	2 511

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო ვალდებულებები	115 456	95 560
სხვა ვალდებულებები	17 045	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	132 501	95 560

12. შემოსავალი

შემოსავალი	12/31/2024	12/31/2023
შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან	5 196 728	9 464 323
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	4 030	-
სხვა შემოსავალი	3 287	-
სულ	5 204 045	9 464 323

13. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	12/31/2023	12/31/2023
--------------------------------------	------------	------------

შპს "საბა" - ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თვითღირებულების ხარჯი	1 969 703	3 127 333
არაპირდაპირი ხელფასი	-	-
სულ	1 969 703	3 127 333

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საოპერაციო ხარჯები	2024	2023
შრომის / მომსახურების ანაზღაურების ხარჯი	1,756,011	2,549,428
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	157,987	174,727
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	29,784	22,535
კომუნიკაციის ხარჯი	8,486	13,815
კომუნალური ხარჯი	26,984	25,507
მივლინების ხარჯი	57,257	19,491
სხვა საგადასახდო ხარჯი	37 041	24,296
საქველმოწმედო ხარჯი	-	-
წარმომადგენლობითი ხარჯი	4,279	990
დაზღვევის ხარჯი	36,302	44,479
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	296,203	313,484
სულ საოპერაციო ხარჯები	2 410 334	3,188,751

15. არასაოპერაციო შემოსავალი

არასაოპერაციო შემოსავალი	12/31/2024	12/31/2023
სხვა შემოსავალი	-	105 941
სულ	-	105 941

16. არასაოპერაციო ხარჯი

არასაოპერაციო ხარჯი	12/31/2024	12/31/2023
არასაოპერაციო შემოსავალი	-	3 089
არასაოპერაციო ხარჯი	(123 284)	(138 828)
სულ	(123 284)	(135 739)

17. კურსთაშორის სხვაობის ეფექტი

კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	2024	2023
შემოსავლები კურსთაშორის სხვაობიდან	-	11 269
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(14 947)	(128 790)
სულ კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(14 947)	(117 520)

18. ფინანსური რისკის მართვა

კორპორატიული მართვის ჩარჩო

შპს "საბა" - ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კომპანია დაფუძნებულია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შიდა კონტროლის პოლიტიკა და პროცედურები

დირექტორს ეკისრება პასუხისმგებლობა კომპანიაში შიდა კონტროლის შემუშავებაზე, განხორციელებასა და შენარჩუნებაზე, რომელიც შეესაბამება მოქმედების მასშტაბს და ხასიათს.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია რისკების იდენტიფიცირებასა და შეფასებაზე, კონტროლის შემუშავებაზე და მათი ეფექტურობის მონიტორინგზე. მენეჯმენტი აკონტროლებს ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობას და პერიოდულად ახდენს დამატებით კონტროლის დანერგვას ან ცვლის არსებულ კონტროლს საჭიროებისამებრ.

რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები

რისკის მართვა ფუნდამენტურია ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობისთვის და წარმოადგენს ჯგუფის საქმიანობის არსებით ელემენტს.

ჯგუფის ფინანსურ ინსტრუმენტებთან და ოპერაციულ საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი ფინანსური და არაფინანსური რისკებია:

საბაზრო რისკი, მათ შორის:

- საპროცენტო განაკვეთის რისკი;
- სავალუტო რისკი;
- ფასის რისკი.
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- ოპერაციული რისკი
- კაპიტალის მართვის რისკი

მენეჯმენტმა დანერგა კონტროლის პროცედურები ძირითადი რისკების გასაკონტროლებლად.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, იმისა რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები შეიცვლება საბაზრო პროცენტის ცვლილების გამო. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2020 წლის 31 დეკემბერს კომპანია არსებითად არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს, რადგან მას არ გააჩნია ფინანსური აქტივების ან ვალდებულებების ნაშთები, რომლებიც ცვალებადი საპროცენტო განაკვეთების მატარებელია.

სავალუტო რისკი

შპს "საბა" - ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას არ აქვს თანხები უცხოურ ვალუტაში ამიტომ სავალუტო რისკს არ ექვემდებარება

სხვა ფასების რისკი

სხვა ფასების რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი მოძრაობა შეიცვლება საბაზრო ფასების ცვლილების გამო (გარდა საპროცენტო განაკვეთის რისკიდან ან სავალუტო რისკიდან), 2022 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია მნიშვნელოვნად არ ექვემდებარება სხვა ფასების რისკს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ჯგუფის ფინანსური ზარალის რისკი, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე არ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. ეს რისკი ძირითადად წარმოიშობა ჯგუფის მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან. კომპანიას არ აქვს აღებული სესხი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. ჯგუფს აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს ჯგუფის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

19. საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის აღიარებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) ხორციელდება მხოლოდ ჯგუფის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი ჯგუფის კაპიტალში იმ ზომით, რა ზომითაც ის გადანაწილდა ჯგუფის მფლობელებზე. კაპიტალის შევსება ხორციელდება როგორც ფულადი, ასევე არაფულადი სახით (სხვადასხვა აქტივების სახით).

20. გაუთვალისწინებელი შემთხვევები

გადასახადების გაუთვალისწინებელი შემთხვევები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, წინააღმდეგობრივია და განსხვავებული ინტერპრეტაციით ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და ჯარიმების მიმართ არანაირი გადასახადი არ შეიძლება დაეკისროს საგადასახადო ორგანოებს მას შემდეგ, რაც დარღვევა მოხდა წლის ბოლოდან სამი წლის შემდეგ.

შპს "საბა" - ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მან ადეკვატურად უზრუნველყო საგადასახადო ვალდებულებები მომზადება საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების განმარტების საფუძველზე.

21. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

მენეჯმენტზე გაცემული ხელფასები:

სახელი	2024	2023
მენეჯმენტის ხელფასი	67 008	165 000

22. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

23. საქმიანობის უწყვეტობა

შპს "საბა" - ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ ჯგუფი შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

მენეჯმენტს მიაჩნია რომ ჯგუფი გააგრძელებს თავის საქმიანობას მომავალშიც.

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 17 სექტემბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.